



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 58

2016 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების 2016 წლის  
კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ნინო ბიწაძის სამსახურებრივი ბარათის (N298682, 25.03.2016წ) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტების 2016 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 30 მარტისა.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი  
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის  
2016 წლის 25 მარტის №58 ბრძანებით

N	შიფრი	წარმდგენი ორგანიზაცია	პროექტის სათაური
1	CG16_i_3_30	ა.ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება	ფსიქიკური ჯანმრთელობა, მიმართულებები და პრობლემები
2	CG16_i_5_52	ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი	ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება
3	CG16_i_6_8	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მე-7 საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი
4	CG16_i_2_48	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თანამედროვე კვლევები და მათი გამოყენების პერსპექტივები ქიმიაში, ქიმიურ ტექნოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში
5	CG16_i_3_101	ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოება - მომავლის ხედვა
6	CG16_i_3_69	ა(ა)იპ „ფონდი მედინვესტი“	„თანამედროვე ტენდენციები განვრცობილი პროსტატის კიბოს მკურნალობაში“ მე-2–ე კავკასიური სიმპოზიუმი
7	CG16_i_6_29	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები
8	CG16_i_6_79	თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი
9	CG16_i_3_87	საქართველოს ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს ასოციაცია	ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს მეორე საერთაშორისო ტრანსკავკასიური კონგრესი
10	CG16_i_4_6	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია	ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის
11	CG16_i_7_53	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი	საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირების VII გაერთიანებული საერთაშორისო კონფერენცია: უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები